ვ. საქმოური

საბჭოთაში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 10 (242) გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 22 მაისი



ბედნიერია მათი გავშვობა, უღრუბლო, მზით გაბრწყინებული ცა დასდგომიათ თავზე. შეხედეთ, რა სიხარული დაჩენია თითოეულის სახეს. „ცანგალა და გრგონაო...“ და შეხის წვერებზე შემდგარ ორ ნორჩ მოცეკვავეს შორის ციბრუტივით დატრიალდა გაფთიანი გოგონა.

ეს სურათი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გაღმია გადაღებული. თუ როგორ ცხოვრობენ, შრომობენ და სწავლობენ ამ სასახლის მკვიდრნი, ამას მეოთხე გვერდზე გაეცნობით.

მასპინძლობს საქართველო

ლოგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, შარშან ზაფხულში ავსტრიაში სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი. 16 მაისს თბილისში საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდა ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაური დოქტორი გლაისნერი მეუღლითა და ვაჟიშვილით. მასთან ერთად საქართველოს ეწვია ზემო ავსტრიის დედაქალაქის — ლინცის ბურგომისტრი ბრილი მეუღლითურთ.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი მეუღლითურთ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი რევაზ შროშიძე მეუღლითურთ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზვიად გუსრაშვილი მეუღლითურთ და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე დოქტორმა გლაისნერმა განაცხადა: „მოსკოვსა და საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლის პირველი წუთებიდანვე ვგრძნობთ თქვენი გულის სითბოს, არაჩვეულებრივ სტუმართმოყვარეობას. ვფიქრობთ, რომ ჩვენი შეხვედრები ხელს შეუწყობს ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებასა და გაღრმავებას“.

16 მაისს ავსტრიელი სტუმრები ეცნობოდნენ თბილისს, იყვნენ ძველსა და ახალ საცხოვრებელ რაიონებში, დაათვალიერეს საქართველოს ღირსშესანიშნაობანი. 17 მაისს კი ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაური ეწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს.

სტუმრებმა ერთ საათზე მეტხანს დაჰყვეს თბილისის უნივერსიტეტში.

ამავე დღეს დოქტორი გლაისნერი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გივი ჯავახიშვილს.

„საქართველოს მიწა-წყალზე ჩამოსვლის პირველ დღეს, — თქვა დოქტორმა გლაისნერმა, უამრავი შესანიშნავი შთაბეჭდილება მივიღეთ. ეს შთაბეჭდილებანი შეიძლება შევაჯამოთ ერთი ფრაზით: აღფრთოვანებული ვართ!“

18 მაისს სტუმრებმა დაათვალიერეს თელავისა და ყვარლის რაიონები, გაეცნენ ქართული ღვინოების წარმოებას.

19 მაისს დილით დოქტორი გლაისნერი თანმხლებ პირებთან ერთად რუსთავს ეწვია.

საღამოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გამართა ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურის პატივსაცემად.

20 მაისს დოქტორი გლაისნერი და მისი თანმხლები პირები სოხუმში გაფრინდნენ. მოხიბლული ვართ თქვენი ხალხის გულითადობითა და გულთბილობით, თქვა გივი ჯავახიშვილთან გამოთხოვებისას ბატონმა გლაისნერმა.



ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურის დოქტორ გლაისნერის ჩამოსვლა თბილისში, სურათზე: შეხვედრა აეროდრომზე.

გივი კიკვაძის ფოტო

გაზეთ „საქმოურს“ მკითხველნო!

ჩვენო საზღვარგარეთელო თანამემამულენო!

შეგახსენებთ, რომ 1970 წლის 12 ივნისს პარიზში, პორტ-დე-ვერსალის საგამოფენო პარკის ტერიტორიაზე გაიხსნება საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, სადაც საქართველო დამოუკიდებელი ექსპოზიციით წარდგება.

საქართველოს პავილიონის დირექცია კმაყოფილი დარჩება, თუ გამოფენის დამთვალიერებელთა შორის ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეებსაც იხილავს.

გამოფენა 5 ივლისამდე იმუშაობს.

სულ 24 წლისა იყო...



სულ ოცდაოთხი წელიწადი იცოცხლა ჩვენი მიწა-წყლის შვილმა, სამოქალაქო ომის ლეგენდარულმა გმირმა ვასილ კიკვიძემ და მაინც მოასწრო თავისი სახელისათვის ჩაუქრობელი ვარსკვლავის ელვარება მოეპოვებინა. დაიბადა 1895 წელს ქალაქ ქუთაისში. იყო გიმნაზიელი, მერე მუშა. ეზიარა რევოლუციურ იდეებს. 1915 წლიდან მეფის რუსეთის არმიის ჯარისკაცია, მერე ისევ მუშა ბაქოს ნავთობის გადამმუშავებელ ქარხანაში, ისევ ჯარისკაცი. დრომ მოიტანა და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ძვრებს შუაგულში მოექცა. 1918 წლის დამდეგს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ წითელი არმია შექმნა. მშრომელთა ბედნიერებისათვის მებრძოლი ჯარისკაცის მაზარა ქართველმა ვაჟკაცმა სიხარულით ჩაიცვა.

უკრაინაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. სამხედრო რევოლუციური კომიტეტის პირველ სხდომაზე ვასილ კიკვიძეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლად ირჩევენ. 1918 წლის 2 იანვარს კიკვიძის რაზმმა შეუტია თეთრგვარდიელებს ქალაქ სარნოს მიმართულებით და უკუაქცია. ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება, რამაც სახელი გაუთქვა კიკვიძე-მხედარმთავარს.

18 იანვარს კიევი კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ აჯანყდა. აჯანყებულთ დაეხმარა ვასილ კიკვიძის ნაცადი წითელი გვარდია, რომელმაც რამდენსამე დღეში გაანადგურა მტერი და კიევში წითელი დროშა აიფრიალა. ამ დროს ახალგაზრდა მხედარმთავარი მეოთხე არმიის სარდლად დაინიშნა და პირველი მსოფლიო ომის დროს დარჩენილ გერმანელთა კორპუსებს შეუტია.

1918 წლის დამდეგს კიკვიძის დივიზია დიდ ძალას წარმოადგენდა. შედგებოდა ექვსი ფეხოსანი და ამდენივე ცხენოსანი პოლკისაგან. დივიზიის განკარგულებაში იყო ჯავშნოსანი მატარებელი და ათი ჯავშნოსანი მანქანა, ათი საარტილერიო ბატარეა და სპეციალური სამხედრო ნაწილები. ასეთი დიდი შენაერთის ხელმძღვანელობა მხოლოდ დიდი სამხედრო ნიჭითა და ორგანიზაციული უნარით დაჯილდოებულ ადამიანს შეეძლო. ვასილ კიკვიძემ არ იცოდა დაღლა. იგი ხშირად იყო მოწინავე ხაზზე. მხედარმთავარს არ გამოეპარებოდა დისციპლინის არც ერთი დარღვევა. უაღრესად მკაცრი, მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი და ამ მხრივ პირველ მაგალითს აძლევდა ხელქვეითებს.

პირდაპირ სისხლი გაუშრო გამოცდილ თეთრგვარდიელ გენერლებს 24 წლის ჭაბუკმა. გენერალმა კრასნოვმა საქვეყნოდ გამოაცხადა: ვინც კიკვიძეს მომგვარის, 25 ათასი ოქროს მანეთით დავაჯილდოებო. კიკვიძემ ამაზე ხუმრობით შენიშნა: იქნებ სჯობდეს თეთრებს მიმცეთ, საბჭოთა ხელისუფლებას ოქრო ესაჭიროებაო.

ვასილ კიკვიძის სიმამაცე და გამბედაობა ფანტასტიკურის საზღვარს აღწევდა. თვითონ შევიდა თეთრგვარდიელთა არმიის განლაგებაში და მოენედ პოლკოვნიკი წამოიყვანა. ერთხელ მსუბუქ ავტომანქანაზე დაჯდომული ტყვიამფრქვევით ბატარეა იხსნა. რამდენიმე მებრძოლით მტრის ზურგში ათი კილომეტრის სიღრმეზე შეიჭრა და მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა.


1918 წლის დეკემბერში ტამბოვის ახლოს კიკვიძის დივიზიის შეტევით მტერი უკან იხევდა. თვითონ მეთაური, რამდენიმე მებრძოლით მტრის ასეულს წააწყდა. საქმარისი იყო ვასილ კიკვიძეს თავისი ვაჟკაცური ხმით დაეყვირა: ჩაგვბარდით, მე კიკვიძე ვარო, რომ თეთრგვარდიელებმა იარაღი დაყარეს. ასეთი ეპიზოდებით სავსეა ვასილ კიკვიძის საბრძოლო გზა.

და აი 1919 წლის 11 იანვარს, როდესაც 24 წლის ჯან-ღონით სავსე ჭაბუკი დივიზიას ახალი გმირობისათვის ამზადებდა, იგი მტრის ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. მთელმა დივიზიამ განიცადა გმირი მეთაურისა და ჰკვიანი ხელმძღვანელის დაკარგვა.

რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ 18 იანვარს დეპეშა გაუგზავნა დივიზიას, რომელშიც ნათქვამია: „თქვენი ბელადი კიკვიძე ერთ-ერთი საუკეთესო რევოლუციონერი-ჯარისკაცი იყო, რომელიც გმირულად დაეცა. მეთექვსმეტე დივიზია დღეიდან კიკვიძის სახელობისა იქნება. ის შურს იძიებს მტერზე, სამუდამო ხსოვნა კიკვიძეს“.

კიკვიძის ცხედარი დაკრძალეს მოსკოვში, ვაგანკის სასაფლაოზე. მისი სახელი ლეგენდად დარჩა საბჭოთა არმიის საბრძოლო ისტორიაში, ხალხი კი მადლიერებით იგონებს სახელოვან შვილს.

კონსტანტინე სოხაძე,
თადარიგის პოლკოვნიკი



26 მაისს მოსკოვში იხსნება ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის მე-16 საკავშირო ყრილობა. ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან ახალგაზრდებთან ერთად ყრილობის დელეგატია პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტი მარინე ხვიტია.

აჭარის ლაქვარდები

ფიქრები სერგეი მესხის ერთი წერილის გარშემო

ბათუმში, აჭარის დედაქალაქში, 1970 წლიდან გამოდის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ჭოროხი“. ეს ჟურნალი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და მისი აჭარის განყოფილების ორთვიური ორგანოა.

პირველი ნომრის სარედაქციო წერილში აღნიშნულია: ჩვენი ხალხისა და მწერლობისათვის ჭოროხი მარტო გეოგრაფიული სახელი როდია, იგი მარტო იმით როდი გვხიბლავს, რომ ულამაზეს ხეობაში მოედინება ზათქით, ხმაურით და ბოლოს აჭარისწყლით გაუხვებული დინჯად მოიწევს ზღვისაკენ არა, ჭოროხი ჩვენი ავბედითი ისტორიის ნაწილია! სწორედ ჭოროხთან აღეთვრის ქართველ კაცს მწველი ფიქრები, ამ ძველთაგანვე ცხობილ ქართულ მდინარესთან, მრავალ დროების მოწამესთან. ალბათ ამიტომ თქვა პოეტმა — „ჩემს სულში ჰქონდა ჭოროხს სათავე“.

ჯერჯერობით გამოვიდა „ჭოროხის“ ორი ნომერი, აქ კარგად არის წარმოდგენილი პროზა, პოეზია, კრიტიკა, პუბლიცისტიკა.

ამჯერად მკითხველის გულისყური მინდა მივმართო „ჭოროხის“ პირველ ნომერში სერგეი მესხის წერილს — „ორი კვირა მაჰმადიანურ საქართველოში“. ჟურნალის ეს პუბლიკაცია ჭეშმარიტად მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი მოვლენაა.

სერგეი მესხი XIX საუკუნის გამოჩენილი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე იყო. გასული საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის, პოლიტიკური ცხოვრების ისტორია წარმოუდგენელია სერგეი მესხის სახელის მოუხსიებლად. ის მაშინაც ესესამჩნევი ფიგურა იყო, როდესაც მის გვერდით მოღვაწეობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე. სერგეი მესხი ეკუთვნოდა ქართველი ინტელექტუალური ელიტის იმ გუნდს, რომელმაც იმ დუხჭირ დროს მაღლა ასწია ხალხის ეროვნული შეგნების, მისი აქტივობის დონე.

როგორც „ჭოროხის“ რედაქცია გვამცნობს, სერგეი მესხის ეს წერილი დღემდე უცნობი ყოფილა ქართველ მკითხველთათვის. მას გაზეთ „გოლოსში“ წააწყდნენ მეცნიერ მუშაკები შ. მეგრელიძე და შ. ხანთაძე. მათ გაუმზადებიათ ის დასაბეჭდად და გადაუცია „ჭოროხის“ რედაქციისათვის.

სერგეი მესხის ეს ფრაზად საყურადღებო წერილი მაშინ დასტამბულა, როცა ერთი წელიც არ ყოფილა გასული რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთის გამარჯვებისა და დიდა-სამშობლო საქართველოსთან აჭარის შემოერთების დროიდან.

სერგეი მესხი წერს: „ბათუმი უკანასკნელად გასული წლის აგვისტოს ვნახე... ეს იყო ერთი დანგრეული, მიგდებული, ბინძური პატარა ქალაქი, რომელშიც ისე ვერ შეხვიდოდით რომ ყნოსვის ორგანო არ შეურაცხგეყოთ“.

ბათუმიდან სერგეი მესხი ართვინს გამგზავრებულა. რამდენიმე დღეში დიდი ვაი-ვაგლახით დაუძლევია სულ რაღაც 70 ვერსი გზა. გზადაგზა ავგტორი აღწერს აჭარის ბუნების მშვენიერებას, ზვიად სიდიადეს, მის განუმეორებელ ფერებს, სურნელებას. სერგეი მესხი სპეციალურად აღწერს ართვინელი ქართველი ქალების წარმტაცი, უხადო სილამაზეს: „ცხოვრებაში იშვიათად მინახავს ასეთი ლამაზი ხალხი, — წერს ავტორი, — იქაურ ქალებს შორის არც თუ ისე ცოტაა ქერა, მაგრამ ქერაა თუ შავგვრემანი, ყველას კანის საუცხოო მკრთალი ფერი, ოვალური სახე, სქელი თმა და მშვენიერი, მოხდენილი ტანი აქვს. ყველაფერი ეს შერწყმულია თხელ ტუჩებთან, სწორად მოხაზულ შავ წარბებთან და ასევე შავ, მწველ და მოძრავ თვალებთან, რომლებიც შუბლქვემოდან შესცქერიან გამვლელს და ართვინელ ქალებს იმ სილამაზის იერს ანიჭებენ, რომელსაც ფრანგები, „შმაკეულის სიმშვენიერეს“ ეძახიან“.

სერგეი მესხი ართვინიდან ბათუმში ჭოროხით, ნავით დაბრუნებულა შემდეგ კი კვლავ ნავით ქობულეთს წასულა. ბათუმიდან სამი საათის ნავით ცურვის შემდეგ „მივაღწიეთ ქობულეთს ანუ ჩურუქსუს, რომელსაც მიგდებული ბაზრის სახე აქვს“.

აი ასეთი ყოფილა აჭარა მაშინ, წარმტაცი ბუნება, ქართველნი, ამ ძველთა ძველი მიწის ულამაზესი მკვიდრნი და ამავე დროს ეკონომიურად, კულტურულად გაჩანაგებული, დაქვეითებული მხარე.

სერგეი მესხი ბრწყინვალედ შენიშნავს:

„ხალხი თაფლის სანთელი არ არის, მისი გაღუნვა სურვილისამებრ არ შეიძლება. ისტორიულმა საუკუნეობრივმა ცხოვრებამ გავლენა იქონია მის გემოვნებაზე, ჩვევებსა და ხასიათზე, მაგრამ ძნელი არ არის, რომ მასში სუფთა ქართველი ხალხი აღმოვაჩინოთ, მისი საყოველთაოდ აღიარებული ხასიათის ნიშნებით: სიმპათიური, რბილი, კეთილი ბუნებით, სიამაყით, სიმამაცით და შრომისმოყვარეობით“.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულს, მეოცე საუკუნის ოციანი წლებისათვის ცივილიზაციის შეუნელებელ წინსვლასთან დაკავშირებით ცხოვრებამ აჭარაშიც იცვალა ფერი, მაგრამ, 1922 წლის დასაწყისისათვის, წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი აქ მაინც აღწევდა 61,1 პროცენტს.

აი აღთა მემკვიდრეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ. როგორია, რას წარმოადგენს დღეს აჭარა? აჭარა საქართველოს მარგალიტია, ულამაზესი კუთხე სილამაზით, ისედაც განთქმული ჩვენი ქვეყნისა, ავტონომიური რესპუბლიკა, რომელსაც მართავენ განათლებული, მხნე საზოგადო მოღვაწეები, სადაც ბრწყინავენ შრომის ადამიანები, მათი ტალანტები საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებულია. უკეთესებს საუკეთესოებიდან ახლა ასახელებენ თანამედროვე სამყაროს უძლიერესი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანოს წევრობის კანდიდატებად. აჭარაში დღეს წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი აღარ მოიძებნება. ბათუმში ბევრია წიგნის სავაჭრო, კარგი წიგნი თაროზე დიდხანს არ ჩერდება, „ჭოროხის“ მარტოოდენ ორი ნომრის გადაკითხვაც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი ნიჭითა და კარგი გემოვნებით დაჯილდოებული ადამიანები მწერლობენ დღევანდელ აჭარაში.

აჭარაში ათეულ ათასობით ბავშვს 430 სკოლაში 4.408 მასწავლებელი ზრდის და განათლებას ანიჭებს. ბათუმშია ერთი უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება, სამეცნიერო დაწესებულებანი, თეატრი, კინოები.

მოსახლეობას ათასამდე ექიმი ემსახურება, საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, საექიმო პუნქტებში საშუალო საექიმო პერსონალის რიცხვი 3.080-ს უდრის.

ბათუმი ულამაზესი ქალაქია საბჭოთა კავშირში. უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე ის დაშვენებულა ახალი, ულტრათანამედროვე ნაგებობებით, „ცათამბჯენებით“. ეს კოპწია, სამხრეთის ფლორაში ჩაფლული ქალაქი არა მარტო აჭარის, საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა ქვეყნის სიამაყეა.

1913 წელს აჭარის მთელი მრეწველობა, თუ თანამედროვე ფულის კოეფიციენტით ვიანგარიშებთ, 135 ათას მანეთის ნაწარმს უშვებდა. 1968 წელს აჭარის მრეწველობამ ჩვენ სახელმწიფოს 206 მილიონ 564 ათასი მანეთის ღირებულების საქონელი მისცა. ბათუმში მუშაობენ უნიკალური წარმოებანი, რომელთა მაგვარი ან არ არის, ან ძალიან ცოტაა მთელ მსოფლიოში, მაგალითად, კოფეინის მწარმოებელი საწარმო.

მე აქ არაფერს ვიტყვი დღევანდელი აჭარის სოფლის მეურნეობაზე. აჭარელი გლეხის ნახელავი — ჩაი თუ ციტრუსები, სხვა მრავალიც, დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში. მის საზღვრებს გარეთაც.

აჭარის გლეხკაცობის წმინდა შემოსავალი, რომელიც მან შარშან მარტოოდენ კოლმეურნეობებიდან მიიღო, 30 მილიონ მანეთს უდრის.

მაისის ამ დღეებში, მზით გაკაშკაშებულ ბათუმის საქვეყნოდ ცნობილ ბულვარზე მე კვლავ ვიხილე შავგვრემანი თუ ქერა, შავ თუ ცისფერთვალებიანი ქართველი გოგონები, ქალები, რომლებმაც ასე მოჯადოეს ჩვენი სახელოვანი წინაპარი სერგეი მესხი. მათ აგერ ნახევარი საუკუნეა, რაც ჩადრი მოიხსნეს და კოლხეთის ნიამორების დიდრონი თვალების შემოხედვა ახლაც საგონებელში აგდებს მამაკაცს.

მათ გვერდს უმშვენებენ ტანადი, ბრგე, დიონისეს თუ აპოლონის პროფილიანი, ჩვენებური წარბებით დამშვენებული ახალგაზრდა ვაჟკაცები. ქართველთ მოდგმა უფრო დამშვენებულა, დიდი ილია რომ იტყოდა — განკარგებულა.

აჭარა მთელ საქართველოსთან, საბჭოთა კავშირთან ერთად წინ ისწრაფვის, მომავლისაკენ იხედება, ახალ სოციალურ წყობას ამტკიცებს. ახლა, ამ დინამიკურ და მეტად რთულ სამყაროში ახალი საკითხები, ახალი, არც თუ ადვილად მოსაგვარებელი პრობლემები დგება.

ჩვენი გზა მომავლისაკენ მარტოოდენ ია-ვარდით როდია მოფენილი, ასეც რომ იყოს, ვარდს ხომ ეკალიც აქვს. ჩვენ ხშირად ხოდაბუნებშიც გვევლია და შეიძლება კვლავაც დაგვჭირდეს ცხოვრების რთული უღელტეხილების აღება და გადალახვა.

ერთი რამ ცხადია, ჩვენ მხოლოდ წინ ვივლით, ბრძენი გოეთე ხომ ამბობდა, მხოლოდ სწრაფვაშია სიცოცხლეო.

ასეთ ფიქრებს აღუძრავს ადამიანს სერგეი მესხის ჩანაწერები, სადაც მან ძველი აჭარის სურათი დაგვიხატა. სხვაა ახალი აჭარა, ბედნიერი კუთხე საქართველოსი. აქ დამოწმებული სულ მცირეოდენი, ზოგიერთი სტატისტიკური მასალაც ხომ ამას მეტყველებს ამასვე მეტყველებს მისი იერი, მისი ფერები, მისი სურნელება.

ვლადიმერ მაჭავარიანი,
ბათუმი, მაისი.

გაზეთი „კომუნისტი“, 15 მაისი.

ჩეხოსლოვაკელი სტუმრები საქართველოში

13 მაისს ჩვენს დედაქალაქს ესტუმრა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის კავშირის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ალიოზ ინდრას მეთაურობით.

თბილისის გაცნობის შემდეგ ჩეხოსლოვაკელი სტუმრები ეწვივნენ რუსთავს, სადაც გაიმართა დიდი მიტინგი.

სტუმრებმა დაათვალიერეს ყვარლის რაიონი, იყვნენ ქინძმარაულის ღვინის ქარხანაში, შემდეგ კი თელავის რაიონს ეწვივნენ.

16 მაისს ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა.

ზეიმი სიონში



ქვირას, 17 მაისს, სიონის სა-პატრიარქო ტაძარში, გაიმართა საზეიმო წირვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ინტრონიზაციის 10 წლისთავის გამო. წირავდა ურბნელი მიტროპოლიტი დავითი. პარაკლისზე შემოსილ იქნენ ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ილია, ბოდბელ-ალავერდელი ეპისკოპოსი რომანოზი, თეთრწყაროელი ეპისკოპოსი ზინობი და სხვანი. წირვა მიმდინარეობდა თბილისისა და ეპარქიებიდან ჩამოსული სამღვდელოების თანამონაწილეობით.

კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ (გრიგოლ) შიოს ძე სიდამონიძე დაიბადა 1896 წელს მედავითნის ოჯახში. 1912 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი. სასწავლებლის დირექციამ იგი სპეციალური რეკომენდაციით გამოგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც სწავლობდა სახელმწიფოს ხარჯზე. სემინარიის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1919 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1923 წელს დაამთავრა. მე-4 კურსზე ყოფნისას აღიკვეცა ბერად. მოღვაწეობდა სამხედრო საკრებულო ტაძარში და დიდხანს იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის პირადი მდივანი; შემდეგ აყვანილ იქნა იღუმენად და ქართლ-კახეთის მონასტრების კეთილმოწესედ. წმინდა სინოდის გადწყვეტილებით, იგი აჰყავთ არქიმანდრიტად და ინიშნება ბორჩალოს მაზრის მთავარ ხუცესად. მალე ხელდასხულ იქნა ეპისკოპოსად და დაინიშნა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად. უმსახურია საქართველოს თითქმის ყველა ეპარქიაში. სინოდის დადგენილებითა და კათალიკოსის განკარგულებით იგი ხშირად მოგზაურობდა და მუშაობდა სხვადასხვა რაიონში. უკანასკნელი ეპარქია იყო ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდიდისა. აქედან სრულიად საქართველოს მე-10 საეკლესიო კრებამ მოუწოდა სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად.

საქართველოს ეკლესიას, კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორის ხელმძღვანელობით ურთიერთობა აქვს ყველა დამოუკიდებელ როგორც მართლმადიდებელ, ისე სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან, მაჰმადიანურ და არაბთა ქვეყნებთან. კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II არის მსოფლიოს საეკლესიო საბჭოს წევრი, მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლი. იგი მონაწილეობდა რამდენიმე მსოფლიო ქრისტიანულ სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში, სადაც არაერთხელ გამოსულა სიტყვით. არის აზია-აფრიკის ერთა სოლიდარობის საბჭოთა კავშირის კომიტეტის, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის მშვიდობის კომიტეტის, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის, სიძველეთა დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმისა და სხვა საზოგადოებათა წევრი. მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის საპატიო სიგელები; დაჯილდოებულია მეორე პანაღიით, მიტრაზე ჯვრითა და უმაღლესი საიკლესო ჯილდოთი — სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრით, რუსეთის ეკლესიის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, ბულგარეთის, არაბთა ქვეყნების, ჩეხოსლოვაკიის საერო და საეკლესიო ორდენებით. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსისაგან კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს თანხმობით, მიღებული აქვს ბრილიანტის ჯვარი.

წირვის ბოლოს კათალიკოს-პატრიარქს ეფრემ II-ს მიმართეს სიტყვებით და მიართვეს საჩუქრები.

ლია მიქაძე

სურათზე: საზეიმო წირვა სიონში. ცენტრში — კათალიკოსი ეფრემ II.

სერგო თევზაძის ფოტო

რისა უსიტყვოდ ყველაფერს ამბობენ

ამ ერთმანეთი შემთხვევით გაიცნეს. სახელგანთქმული მიმი მარსელ მარსო კონცერტზე მიიჩქაროდა. ფილარმონიის ბაღში ყურადღება მიაქცია ახალგაზრდას, რომელიც თვალს არ აშორებდა. მარსომ გვერდით ჩაუარა, შემდეგ რამდენჯერმე მოხედა, ბოლოს გაუცინა, ხელი მეგობრულად დაუქნია და გზა განაგრძო.

იმავე საღამოს, წარმოდგენის შემდეგ, ჭაბუკი კულისებში ეწვია მიმის დიდოსტატს. მარსომ შამპანურის ბოთლი გახსნა, ერთადერთ ჭიქაში სტუმარს დაუსხა და მიაწოდა. შემდეგ ვითომ მეორე ბოთლიც გახსნა, არარსებულ ჭიქაში თვითონაც „დაისხა“ და მიუჯახუნა. ახალგაზრდამ ჭიქა გამოცალა, აავსო, მარსოს გაუწოდა და ახლა თვითონ გაიმეორა იმ წამს ნანახი. მარსო აღტაცებული დარჩა...

თუმცა ამირან შალიკაშვილი ადრეც იყო დაინტერესებული პანტომიმით, მაინც ამ შეხვედრამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში გაიტაცა ამირანი პანტომიმამ. ტრადიციულ ზეიმზე — „ხილთა ქებაზე“ მისმა ხელოვნებამ ისეთი მოწონება დაიმსახურა, ბევრმა სერიოზულად ურჩია, დრამის მსახიობობას თავი დაანებე და პანტომიმას მიჰყე ხელიო. 1964 წელს, როცა ინსტიტუტი დაამთავრა, დრამის მსახიობმა მუსკომედიის თეატრში დაიწყო მუშაობა. ამავე წელიწადს ჩამოაყალიბა პირველი ქართული პანტომიმური ჯგუფი.

ჩვეულებრივ, ახალი საქმე ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ასე მოხდა ახლაც. ამირან შალიკაშვილი ერთ-ერთი პირველია, ვინც ხელი მოჰკიდა ხელოვნების ამ უძველესი, და ამასთან ყველაზე თანამედროვე და პოპულარული ჟანრის განვითარებას ჩვენში. მართალია, საქართველოში არსებობს პანტომიმის უძველესი ტრადიციები, ხელოვნების ამ დარგს თავის დროზე კოტე მარჯანიშვილმაც მიაქცია ყურადღება, მაგრამ მისი აღდგენა მხოლოდ ახლა დაიწყო საქართველოში.

...დღეს ბევრი ღიმილით იგონებს პირველ კონცერტებს. თითოროლა კაცი თუ მოდიოდა მაშინ საღამოზე. ამირანი და მისი მოწაფეები ბევრს ცდილობდნენ საზოგადოების ინტერესი გამოეწვიათ, ვინც ხელში მოხვდებოდათ, „ძალით“ მიჰყავდათ კონცერტზე. ხშირად ორიასამი კაცისათვის გაუმართავთ წარმოდგენა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდნენ.

შრომა და მონდომება მუდამ აღწევს სასურველ შედეგს. დღეს პანტომიმა სპეციალურ სავნად ისწავლება რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო საესტრადო და ცირკის სახელმწიფო სასწავლებლებში. ამიერკავკასიის რკინიგზის კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა პანტომიმის სტუდია, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია მთელ კავშირში. ყველა ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელია ამირან შალიკაშვილი, რომელიც შესანიშნავად ახამებს მსახიობის ძნელ პროფესიას პედაგოგიურ მოღვაწეობასთან.

საკავშირო თუ რესპუბლიკურ პრესაში არაერთხელ აღნიშნულა ქართული პანტომიმის წარმატება — ინდივიდუალური ხასიათი, ფილოსოფიური სიღრმე, ღრმა აზრი, შინაგანი განცდა, ეროვნული ხელწერა.

პანტომიმის სტუდიის ახალგაზრდები მალე ახალ პროგრამას უჩვენებენ მაყურებელს. „თბილისის ექო“ — ასე ჰქვია წარმოდგენას. იგი რამდენიმე ნოველისაგან შედგება — „ცხრა ძმა“, „ფრესკა“, „ჩვენ 18 წლისანი ვართ“, „არჩევანი“, „მოლოდინი“... დადგმაში გამოიყენებენ ქართულ საგალობლებს, ძველი თბილისის სურათებს, აჩვენებენ თანამედროვე თბილისსაც. დიდი ბედგელი დაეთმობა ეუმორს. ყველა ამ ნოველის ავტორია ამირანი, მუსიკაც თვითონ შეარჩია.

ამირანის ოცნებაა დადგას „ყვარყვარე თუთაბერი“. რა თქმა უნდა, ასეთი ცნობილი პიესის პანტომიმის



სტილით გადაწყვეტა, როცა სიტყვა სავსებით გამორიცხულია და მსახიობი მხოლოდ სხეულით — ჟესტითა და მიმიკით ქმნის მხატვრულ სახეს, არც ისე ადვილია. მაგრამ უკვე მიღწეული იძლევა იმის გარანტიას, რომ ეს სიძნელეც წარმატებით დაიძლევა.

ალბათ, შორს არ არის ის დრო, როცა საქართველოშიც იქნება ქართული პანტომიმის თეატრი, როცა ქართველი პანტომიმისტები ჩვენი სამშობლოს გარეთაც გაიტანენ ხელოვნების ამ უძველეს და ახალგაზრდა ჟანრს, სხვა ერების წარმომადგენლებსაც აზიარებენ ჩვენი ეროვნული პანტომიმის სიმშვენიერეს.

თამარ ახვლედიანი





სურათებზე: ზევით — ამირან შალიკაშვილი, ქვევით — რეპეტიციაზე.

■ წერილი დასავლეთ გერმანიიდან

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას



დიდად პატივცემულო ბატონებო!

მოგმართავთ მეტად არაჩვეულებრივი თხოვნით: იქნებ შეგიძლიათ გამიწიოთ დახმარება და თქვენი გაზეთის საშუალებით მაპოვნინოთ მამა ან მისი ოჯახი. მამაჩემის სახელი და გვარია Anton Seradse *(ანტონ ზერაძე, შეიძლება სერაძე, ცერაძე ან სირაძე. რედაქცია).*

ახლა ის იქნება დაახლოებით 75 ან 80 წლისა, წარმოშობით ქალაქ ბათუმიდან უნდა იყოს.

პირველი მსოფლიო ომის დროს ის ტყვედ მოხვდა გერმანიაში, ქალაქ ტრირში, სადაც გაიცნო დედაჩემი.

მე დავიბადე 1918 წლის 7 ოქტომბერს. ამის შემდეგ მამა მალე დაბრუნდა საქართველოში. მოგვიანებით დედა დაქორწინდა სხვაზე, რომელმაც შვილივით აღმზარდა.

თუ თქვენ შეძლებთ და დამაკავშირებთ მამასთან ან მისი ოჯახის რომელსამე წევრთან, დიდად მადლობელი დავრჩები. ამასთან გაახლებთ მამაჩემის მაშინდელ ფოტოს.

არ ვიცი, როგორ გადავიხდი თქვენს ამაგს. მეგობრული დახმარებისათვის წინასწარ გიხდით მადლობას.

მეგობრული სალმით — ჰანა ცეტშე.

Hanna Zetsche, 8011 Anzing, Blumenstraße 4, Bundesrepublik Deutschland.

რედაქციისაგან: წერილში ყველაფერია ნათქვამი. რამის დამატება ძნელია. შეიძლება მატონი ანტონი უკვე აღარ იყოს ცოცხალი, მაგრამ არსებობდნენ მისი შვილები, ნათესავები, ახლობლები. თუ ჟალბატონი ჰანა ჩვენი გაზეთის საშუალებით მამის ან მისი ახლობლების კვალს მიაგნებს, ნამდვილად ჯარგი საქმე გაკეთდება.

მაშ ასე. ველით თქვენს გამოხმაურებას, ჩვენო მკითხველებო!

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀՈՒՇԱՄԱՏԵՆԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀՈՒՇԱՄԱՏԵՆԱՆ

Հայկական հուշամատենանը կը ներկայացնէ հայ ժողովուրդի կեանքի ամենէն կարեւոր դէպքերը, ամենէն նշանաւոր դէմքերը։ Ան կը պարունակէ հարիւրաւոր նկարներ, քարտէսներ, վաւերագրեր, որոնք մեծ մասամբ առաջին անգամ կը հրատարակուին։ Հատորը կը սկսի հայոց պատմութեան նախնական շրջանէն եւ կը հասնի մինչեւ մեր օրերը։

Հայկական հուշամատենանը կը պատրաստուի հայ մտաւորականներու խումբի մը կողմէ, որոնց գլխաւորն է Վարդան Մեծարենցը։ Ան կը գրէ.

«Հայ ժողովուրդը ունեցած է իր պատմութեան մէջ բազմաթիւ հերոսներ, որոնք իրենց կեանքը զոհած են հայրենիքի ազատութեան համար։ Անոնց անունները պէտք է յիշուին սերունդէ սերունդ, որպէսզի նոր սերունդները գիտնան իրենց ծագումը եւ ոգեւորուին անոնց օրինակով։ Հայկական հուշամատենանը կը ջանայ կատարել այդ սուրբ պարտականութիւնը։»

Հատորին մէջ կը գտնուին նաեւ հայ գրականութեան, արուեստի եւ գիտութեան նշանաւոր գործիչներուն կենսագրականները։ Անոնց մասին կը խօսին նաեւ օտար հեղինակներ, որոնք կը ներկայացնեն հայ ժողովուրդի ներդրումը համաշխարհային քաղաքակրթութեան մէջ։

Հայկական հուշամատենանի հրատարակութիւնը կը կատարուի Հայաստանի Խորհրդային Հանրապետութեան Գիտութիւններու Ակադեմիայի կողմէ։ Առաջին հատորը լոյս պիտի տեսնէ 1971 թուականին։ Ան պիտի ունենայ 2 հազար էջ եւ 1000 նկար։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Երեւանի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Մոսկուայի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Լոնտոնի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Փարիզի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Նիւ Եորքի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Պոսթընի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Մոնրէալի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Սան Փաուլոյի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Մելպուռնի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Սիտնէյի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Լոս Անճելըսի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Սան Ֆրանսիսքոյի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Վենետիկի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Փարիզի մէջ կազմակերպուած է ցուցահանդէս, որ կը ներկայացնէ հատորին համար պատրաստուած նկարներուն մէկ մասը։ Ցուցահանդէսը կը գտնուի Պետական պատկերասրահի շէնքին մէջ։ Ան կը բացուի ամէն օր առաւօտեան ժամը 10-էն մինչեւ գիշերուան ժամը 8-ը։ Մուտքը ազատ է։

Ցուցահանդէսին կը մասնակցին նաեւ հայ գրողներ, նկարիչներ, քանդակագործներ, որոնք իրենց գործերը նուիրած են հայ ժողովուրդի պատմութեան տարբեր շրջաններուն։ Ցուցահանդէսին մէջ կան նաեւ հնագիտական գտածոներ, որոնք կը պատկանին Հայաստանի տարբեր թանգարաններու։

* * *

Հայկական հուշամատենանի հրատարակութեան առթիւ Լոնտոն

ოპერის თეატრში

უკანასკნელ ხანს თბილისის ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა რამდენიმე პრემიერა გამართა. მაყურებელმა გულთბილად მიიღო დავით თორაძის ბალეტი „ქედუხრელნი“, რომელიც განახორციელა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ვახტანგ ჭაბუკიანმა. დირიჟორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი.

კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის ოპერა „ლქროს ქორწილი“ სულ რამდენიმე დღის წინათ ვნახეთ. იგი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ჯემალ ანჯაფარიძემ, დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯანსულ კახიძე.

საინტერესოა აგრეთვე ფილიპე ლლონტის ახალი ბალეტი „განთიადი“.

სახალხო თეატრების დათვალიერება

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში 14 მაისს დაიწყო და 27 მაისამდე გასტანს საქართველოს სახალხო თეატრების რესპუბლიკური დათვალიერება. მასში მონაწილეობენ ყვარლის მარჯანიშვილის სახელობის, ბოლნისის სულხანსაბა ორბელიანის სახელობის, მცხეთის, ცაგერის, გურჯაანის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ცხაკაიას სახალხო თეატრები.

„პაემანი ცაში“

მესხეთის სახელმწიფო თეატრმა ახალციხეში მაყურებელს პრემიერად უჩვენა აკაკი გეწაძის ახალი კომედია „პაემანი ცაში“. პიესაში ასახულია დიდ სამამულო ომში მოხალისედ წასული ხუთი მფრინავი ქალიშვილის ცხოვრება. „პაემანი ცაში“ დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნანა დემეტრაშვილმა.

„მიდიოდნენ ჯარისკაცები უღელტეხილზე“...

გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა პრემიერა, გიორგი ხუსაშვილის ჰეროიკული დრამა — „მიდიოდნენ ჯარისკაცები უღელტეხილზე“. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ოთარ ალესიშვილმა.

„გაზაფხული-70“

„მოვიდა გაზაფხული.

უამრავი ფერით მოვიდა ახალგაზრდობის სულის ეს ჭეშმარიტი მხატვარი და დახვდა სიჭაბუკე ზეიმით, მუსიკით, პოეზიით. ამიტომაც ჩვენდა მოვაწყოთ ახალგაზრდობის დიდი დღესასწაული — „გაზაფხული — 70“ — „სიჭაბუკე-70“. ეს იქნება თბილისელი ქალიშვილებისა და ჭაბუკების დიდი ზეიმი“.

ასეთი სიტყვებით იწყება სპეციალური ბიულეტენი — „გაზაფხული—70“, რომელიც საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტმა გამოსცა. მრავალფეროვანია დღესასწაულის პროგრამა: ახალგაზრდობის ფორუმი, თვითმოქმედების დათვალიერება, სპორტული შეჯიბრებები, ახალგაზრდა მხატვართა გამოფენები, კონკურსები და დისპუტები, თეატრალური საღამოები, კინომოყვარულთა ფილმების ფესტივალი, ახალგაზრდული მაბადრობები.

„გაზაფხული—70“ დაიწყო 26 აპრილს და დამთავრდება ზეკ. 24 მაისს. ყვავილებისა და სიმამაზის, სიყვარულისა და ფერების ამ დიდი დღესასწაულის ბოლო დღეს კომპოზიტორთა კავშირთან ერთად გაიმართება საესტრადო სიმღერების მესამე საქალაქო კონცერტი — „მღერის ახალგაზრდობა“.



ქართული კონიაკი

ცნობილ ბერძენ ისტორიკოსსა და გეოგრაფს სტრაბონს, რომელსაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 700 წლით ადრე უცხოვრია, უთქვამს: საქართველო მევენახეობის ქვეყანაა, აქ ხალხი არაჩვეულებრივ ღვინოს ამზადებს, უხვ და სასმელად საამოსო.

ასე ყოფილა: ერთ ქვეყანას პირამიდებით იცნობენ, მეორეს — ხელოვნების უძველესი ძეგლებით, მესამეს — ტბებითა და მდინარეებით... დედამიწის ერთ კუთხეს პურის ბეღელს უწოდებენ, მეორეს — ოქროს საბადოს, ჩვენში კი ვაზის კულტია გამეფებული.

ვაზი ქართველი კაცის სიამაყეა, სიცოცხლისა და სიხარულის სიმბოლო. ვაზს უკავშირებს თავის ბედიღბალს, მომავლის იმედს. ამიტომ ელოლიავება და ისე ზრდის, როგორც ერთ ხასხურ სიმღერაშია ნათქვამი — ვაზო, შვილივით ნაზარდო.

უხსოვარი დროიდან ქართულ მიწაზე ვაზის ბევრი ჯიში ხარობს, ღვინოც მრავალგვარი მზადდება. მაგრამ ჩვენს საუკუნეში საქართველომ სახელი გაითქვა კონიაკის წარმოებითაც. ქართულმა კონიაკმა ოთხმოც წელიწადს გადააბიჯა და თავის უფროს ძმას, ფრანგულ კონიაკს ღირსეულად უსწორებს მხარს.

ამ საუკუნის დამდეგს, როდესაც ქართველობა სამუდამოდ ეთხოვებოდა შესანიშნავ მამულიშვილს დავით სარაჯიშვილს, დიდმა აკაკიმ თქვა: სახელი შენი სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაშიო.

და, მართლაც, დავით სარაჯიშვილის სახელი შეგვრჩა, როგორც სახელი დიდებული ქართველი კაცისა, რომელიც მოზიარე და ხელშემწყობი იყო ყველა იმ ეროვნული საქმისა, რასაც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ილია აკეთებდა.

დავით სარაჯიშვილი! — საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული კონიაკის ფუძემდებელი.

1888 წელს მის მიერ აშენებულ ქარხანაში დაიბადა ქართული კონიაკი, რომლის ეტიკეტს ამშვენებდა კლდეზე გადმომდგარი ჯიხვი. „ჯიხვიანმა“ კონიაკებმა მოიარეს პარიზი, ჩიკაგო, სხვადასხვა ქვეყნის გამოფენები და თხუთმეტ წელიწადში თხუთმეტი მედალი, მათ შორის 11 ოქრო დაიპყრეს.

„დიდი საგუში“ ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე თათბირობდა. ერთ-ერთი შესვენებისას ჩერჩილს კონიაკი მიართვეს. გემო გაუსინჯა, არ მოეწონა და გვერდზე გადადგა. სტალინის წინადადებით ქართული კონიაკი შემოიტანეს. ჩერჩილმა დალია და კმაყოფილებით თქვა: ეს კი ჩინებულია, ფრანგულიაო.

ფრანგული კი არა, ქართულიაო, შეუნიშნავს საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

— ფრანგი სპეციალისტების დამზადებული მაინც იქნება, — კვლავ უცდია პირველი აზრის დაცვა ჩერჩილს. მას აუხსნეს, რომ ქართული კონიაკის წარმოებაში არც ერთი უცხოელი სპეციალისტი არ მონაწილეობს.

— ვინ დაამზადა ეს კონიაკი? — დაინტერესდა სტალინი. ვახტანგ ციციშვილმაო, მოახსენეს. მერე ვახტანგ ციციშვილი მთავრობამ ორდენით დააჯილდოვა მას მოჰყვა სახელმწიფო პრემიის ლაურეატობაზე წარდგენა.

ვახტანგ ციციშვილი სამართლიანად ითვლება სარაჯიშვილის საქმის ღირსეულ მემკვიდრედ.

1946 წელს მან შექმნა კონიაკი „ენისელი“, სწორედ ის, ასე ძალიან რომ მოეწონა ჩერჩილს.

1954 წელს გამოვიდა „ვარციხე“.

1956 წელს, თბილისის 1500 წლისათვის, დედაქალაქს ნობათად „თბილისი“ მიუძღვნა.

მერე ერთმანეთის მიყოლებით შექმნა კონიაკები — „გრემი“ და „სახელოვანი 40 წელი“.

ვახტანგ ციციშვილმა კიდევ უფრო შორს გაიტანა ქართული კონიაკის სახელი. მერე კი... ანდერძის თანახმად, სამუდამო განსასვენებელი თბილისის კონიაკის ქარხნის ეზოში პოვა.

ავჭალის გზატკეცილზე, ხელმარცხნივ, უთუოდ შენიშნავთ ქარხნის ქათქათა კორპუსებს. აქ შრომობენ ადამიანები, რომლებიც სარაჯიშვილისა და ციციშვილის საქმეს დიდებით განაგრძობენ: ვალერიან ჭანიშვილი და ოთარ რობაქიძე, დავით ნიკოლაიშვილი და ოთარ ლორთქიფანიძე, კარლო გველესიანი და ვახტანგ ინაშვილი, გივი ნიშნიანიძე და დავით ელიოზიშვილი, თინა მურვანიძე და იულია ფარცვანია...

აქაურობას თვალისჩინივით უვლიან და უფრთხილდებიან. ქარხანამ ხუთ ჰექტარზე გაშალა მხრები. ბაღებითა და სკვერებით დამშვენდა. ხარობენ სხვადასხვა ჯიშის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები, ლაღობს ვარდი და ქრიზანთემა.

ეზოში შემოგრიალდებიან რქაწითელისა და ცოლიკაურის ღვინით სავსე ცისტერნები. მერე მეღვინეები მაღალგრადუსიან სპირტს ხდიან და მუხის კასრებში ინახავენ. სწორედ აქ ხდება, თურმე, საიდუმლო გარდაქმნა: ღვინის სურნელი ერევა მუხის ტკეჩებიდან გამოყოფილ ტანინს... ამ ბუნებრივ რეაქციას ვერც ერთ ქიმიურ ფორმულაში ვერ მოაქცევ. წარმოიშობა არაჩვეულებრივი, ნაზი ბუკეტი, რომელსაც ვაზის ყვავილის არომატი დაჰკრავს.

მუხის კასრებში წლობით ინახება სპირტი. იძენს კონიაკისათვის აუცილებელ კეთილშობილ თვისებებს. კეთილშობილ სპირტის დამუშავებაზე საუკეთესო სპეციალისტები მუშაობენ. მანამდე არჩევენ მასალას, ვიდრე სასურველი მარკის ნაზ, ჰარმონიულ სასმელს არ მიიღებენ. ეს არის უმაღლესი ტექნოლოგიური ხელოვნება.

მერე იწყება ჩამოსხმა.

ჩამოსასხმელი მანქანისაკენ ნელი წკრიალით მისრიალებენ მოძრავ ზოლარზე შემოწყობილი ბოთლები. ავტომატურად იხუფებიან. იკრავენ ეტიკეტებს: — ქართული კონიაკი ვარ, ესა და ესაო — და მზა პროდუქციის საწყობს ჰბარდებიან.

ერთ სამუშაო ცვლაში 32 ათასი ბოთლი კონიაკი იბადება.

ქარხანა თორმეტი დასახელების კონიაკს უშვებს.

3, 4 და 5-ვარსკვლავიანი ორდინარული სასმელები ჩვენს ყოველდღიურ სუფრას ამშვენებს.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა სამარკო კონიაკებზე. მათ ძალიან კარგად იცნობენ მრავალ ქვეყანაში, იცნობენ, როგორც ქართულ სასმელს, რომელიც ყველა საერთაშორისო გამოფენასა და დეგუსტაციაში მონაწილეობს და რომელსაც 39 ოქროსა და ვერცხლის მედალი მოუხვეჭია.

კონიაკი „თბილისი“ ოქროს 6 და ვერცხლის 7 მედლის კავალერია.

„ენისელისა“ და „ძველისძველის“ თვისებები ოქროს ექვს-ექვსი და ვერცხლის სამ-სამი მედლით არის შეფასებული.

შედარებით გვიან დამზადდა კონიაკები „საუბილეო 50 წელი“ და „ვარძია“, მაგრამ უკვე მათაც მოასწრეს ოქროს ორ-ორი მედლის მოღება.

მედალოსანი კონიაკებია: „ვარციხე“ და „გრემი“.

თბილისური კონიაკით ილოცებიან დღეს პოლონელები და ჩეხები, ბულგარელები და უნგრელები, გერმანელები და იაპონელები... აი რას ამბობენ ისინი:

„ქართული კონიაკი ძალზე მომხიბვლელი და ფრანგული ძმის ღირსეული მეტოქეა“.

„თქვენმა კონიაკმა განგვაცდევინა სასიამოვნო წუთები...“

„არც ჩვენს ქვეყანაში — პოლონეთში და არც მთელ ევროპაში არ არის ასეთი ქარხანა და ასეთი კონიაკი“.

„ჩვენ ვიყავით აღმოსავლეთში, ჩვენ ვნახეთ დასავლეთი — ქართული კონიაკი ყველაზე გემრიელია“.

საქართველოში კარგად ხარობს რქაწითელი და ცოლიკაური.

ეს ჯიშები საუკეთესო საკონიაკე მასალას იძლევა.

ჩვენში ახლა ვაზს ვაზი ემატება, ზვარი — ზვარი.

ღვინოდღე იზრდება თბილისის კონიაკის ქარხანაც.

მალე საფუძველი ჩაეყრება კიდევ რამდენსამე საამქროს მშენებლობას.

1975 წლისათვის ქარხანა 1 მილიონ 200 ათას დეკალიტრ კონიაკს ჩამოასხამს.

შედარებისათვის მხოლოდ ორ ციფრს მოვიყვანთ:

1965 წელს ქართული მარკის 457 ათასი დეკალიტრი კონიაკი დამზადდა, წლეულს კი 755 ათასი დეკალიტრი ჩამოისხმება.

კვლავ მოიხვეჭენ ქართული კონიაკები მედლებს საერთაშორისო დეგუსტაციებსა და გამოფენებში.

ამ შემოდგომაზე იალტაში რვა დასახელების ქართული სამარკო კონიაკი მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო დეგუსტაციაზე.

ალბათ, კვლავ გვასახელებენ „ვარციხე“ და „ენისელი“, „თბილისი“ და „ძველისძველი“, „ვარძია“ და „აფხაზეთი“, „საუბილეო 50 წელი“ და „საიუბილეო 40 წელი“.

ამის იმედს დიდი ტრადიციები და წინაპართა დაუვიწყარი ღვაწლი იძლევა.

ჯემალ ჟურხული





სურათებზე: ზევიდან — მედალოსანი კონიაკები; მუხის კასრებში წლობით ინახება სპირტი; კონიაკის ქარხნის საერთო ხედი.



ქალაქ ციურიხში, გამომცემლობა „მანესე ფერლაგმა“ გერმანულ ენაზე გამოსცა ახალი დროის ქართველ მწერალთა ნაწარმოებნი. მოთხრობები თარგმნა ჩვენი ხალხის მეგობარმა, ცნობილმა ქართველოლოგმა ქალმა, კიტა ჩხენკელის მოწაფემ რუთ ნოიკომმა.

წიგნში შესულია პოპულარული ქართული მოთხრობები: მიხეილ ჯავახიშვილის „ყბაჩამ დაიგვიანა“, „ეშმაკის ქვა“ და „ტყის კაცი“, ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“, კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“, ლევან გოთუას „ყინწვისის ანგელოსი“ და „უგზო ჭარავანი“, გრიგოლ ჩიქოვანის „დაბრუნება“. ტომს დართული აქვს მთარგმნელის — რუთ ნოიკომის ბოლოთქმა.

ამ წიგნის ანოტაციაში, სხვათა შორის ნათქვამია: „ქართველ მწერალთა მოთხრობების ეს ტომი ლიტერატურულ აღმოჩენას უდრის; საქართველოს — პატარა ქვეყანას სამხრეთ კავკასიაში — აქვს თავისთავადი ათასწლოვანი კულტურა და საკუთარი, ძალზე ძველი ენა, საიდანაც ეს ნაწარმოებნი პირველად ითარგმნა გერმანულ ენაზე. ეს გახლავთ რეალისტური მოთხრობები, რომელთა წარმტაცი შინაარსი ამ ხალხის წარმომადგენელი სიცოცხლით აღსავსე ადამიანების ბედს ეხება. ამას უნდა დავუმატოთ საქართველოს ბუნების სიმშვენიერე და ლანდშაფტის მრავალფეროვნება, რომელიც კავკასიონის თოვლიანი მწვერვალებიდან შავი ზღვის ნაპირებამდეა გადაშლილი.

ახალი დროის ქართველ მწერალთა შორის შევარჩიეთ ყველაზე ცნობილი სახელები, როგორიც არიან ჯავახიშვილი, გამსახურდია და სხვები. ჯავახიშვილის მოთხრობებში, ისევე როგორც სხვა მწერლების ნაწარმოებებში, წინა რიგზე წამოწეულია წმინდა ადამიანური პრობლემები, სიყვარული და ყველაზე მეტად ადამიანის ერთგულება ადამიანისადმი; ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცში“ აღწერილია ადრე დაქვრივებული დედის თავგანწირვა. გამსახურდიამ თავის ცნობილ მოთხრობა „ხოგაის მინდიაში“ ჩააქსოვა მთაში შერჩენილი ხალხური გადმოცემა, რომელიც ქართულ ხალიჩასავით ფერადოვანი და ლამაზია. გოთუას „ყინწვისის ანგელოსში“ — სიყვარულის ამ თავგადასავალში — კარგად გამოსჭვივის საშუალო საუკუნეების ქართული კულტურის მაღალი დონე, ხოლო იმავე ავტორის მოთხრობაში — „უგზო ჭარავანი“ — სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებია აღძრული. გრიგოლ ჩიქოვანის „დაბრუნება“ გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ტრაგიკული სიტუაციიდან გამოსვლა გულის იშვიათი ტაქტის წყალობით.

ყველა ეს მოთხრობა დიდი ხელოვნებით არის დაწერილი და ღირსეულად აგრძელებს მდიდარი ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, ლიტერატურისა, რომელსაც ჩვენი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში უკვე ჰქონდა უსანაშვესი მხატვრული ქმნილებანი“.

წიგნი შეიცავს 420 გვერდს, გამოცემულია შესანიშნავად, გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ოტო კაულს. სუპერგარეკანის წინა მხარეს გამოხატულია თავსაფრიანი ახალგაზრდა ქართველი ქალის პორტრეტი.

მიხეილ ხერხეულიძე

ციურიხში, გერმანულად...

„ქართული ფილმი“

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში 27 აპრილიდან აჩვენებენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალ ნაწარმოებს, მხატვრულ ფილმს „ფილატელისტის სიკვდილს“. სცენარის ავტორები არიან ლევან ალექსიძე, გიორგი კალატოზიშვილი და ანზორ სალუქვაძე. დამდგმელი რეჟისორია გიორგი კალატოზიშვილი, ოპერატორი იური კიკაბიძე. როლებს ასრულებენ — რამაზ ჩხიკვაძე, ავთანდილ ქურდიანი, გრიგოლ ტყაბლაძე, რამაზ გიორგობიანი, რუსუდან კიკნაძე, სესილია თაყაიშვილი, იპოლიტე ხვიჩია და სხვები.

მეორე ახალი ქართული ფილმი, რომელიც აგრეთვე ამ დღეებში ნახა ჩვენმა მაყურებელმა, არის „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“. იგი გადაღებულია სულიკო ჟღენტის სცენარის მიხედვით. რეჟისორია გუგული მგელაძე. როლებს ასრულებენ: დოდო აბაშიძე, გრიგოლ წიტაიშვილი, თამაზ თოლორაია, თენგიზ წიკლაური, რუსუდან კიკნაძე, ლეილა ყიფიანი, ნანა პირველი და სხვები.

სურათებზე: კადრები ფილმებიდან — „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ (მარცხნივ) და „ფილატელისტის სიკვდილი“.





ჯალათი

როგორც გაზეთებიდან არის ცნობილი, სამიოდე კვირის წინათ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა მთავრობის დავალებით ნოტით მიმართა დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოს. ნოტაში ნათქვამია, რომ კომპეტენტური საბჭოთა ორგანოები ამჟამად აწარმოებენ ძიებას ეგრეთ წოდებული კავკასიელთა ასეულის ყოფილი ათმეთაურის იური ეპიფანეს ძე ჭაფოძის საქმის გამო, რომელიც დასახელებული ასეულის შემადგენლობაში უშუალოდ მონაწილეობდა ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ ჟლეტაში.

ჭაფოძე, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ინგლისში მისამართით: ქალაქი ბორნემუტი, ვესტბორნის რაიონი, ალუმ ჩინეს ქუჩა № 23, უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში საბჭოთა კანონების მიხედვით.

ნოტის დასასრულს საბჭოთა მთავრობა მიაპყრობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ყურადღებას სახელმწიფოთა მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა შესაბამისად დამნაშავენი უნდა დააპატიმრონ და გადასცენ მათი გასამართლებისა და დასჯისათვის იმ ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიაზე ჩაიდინეს დანაშაული, და გამოთქვამს რწმენას, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა განახორციელებს სათანადო ღონისძიებებს სამხედრო დამნაშაულის იური ეპიფანეს ძე ჭაფოძის (რომელიც იქ ჩაპელ ჯორჯის გვარით ცხოვრობს) დასაპატიმრებლად და საბჭოთა ხელისუფლებისათვის გადასაცემად გამოძიებისა და გასამართლებისათვის.

სულ ახლახან საბჭოთა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავი. მადლიერმა შთამომავლობამ კიდევ ერთხელ მიიტანა გმირთა საფლავებზე ცოცხალი ყვავილები, კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული მამები და ძმები. სამამულო ომის ისტორიას შეემატა იმ ადამიანთა სახელები, რომელთა გმირობა მხოლოდ შემთხვევითობის გამო არ იყო გამოტანილი დღის სინათლეზე.

სამწუხაროდ, ამ საზეიმო დღეებში საჭირო გახდა გვეხსენებინა ადამიანი (თუ მას, საერთოდ, შეიძლება ადამიანი ეწოდოს), რომლის სახელს დიდი ხანია იუდას დაღი ადევს, რომლის ხელით გასროლილ ტყვიას აკვანში ჩაკრული ბავშვიც მოუკლავს და ჩვილზე გადაფარებული დედაც.

ხალხის რისხვა და ზიზღი მოღალატეს!

სამწუხარო ის არის, რომ კაცი, რომლის შესახებაც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაშია ლაპარაკი, ქართველია, საქართველოს მიწაზე დაბადებული.

ახლა ძალიან ხშირად გვეკითხებიან — როგორ მოხდა, რომ ჩვენი მიწა-წყლის შვილი მოღალატის გზას დაადგა და ასეთი საშინელი დანაშაული ჩაიდინა, როგორ მოხდა, რომ კაცი, რომელსაც სამშობლოში ორი შვილი დარჩა, ხოლო ახლა ინგლისში სამ შვილს ზრდის, თავისი ხელით ცეცხლს უკიდებდა სახლებს, რომლებშიც ბავშვები იყვნენ კარგამოკიდებული?

უველაფრის გაანალიზება და უველაფერზე პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ჩვენ მხოლოდ ზოგადად გაგაცნობთ იუდას სახეს, ჩვენში იური ჭაფოძედ რომ იწოდებოდა, ხოლო ახლა ინგლისში ჩაპელ ჯორჯის სახელით რომ ცხოვრობს.

დაიბადა 1913 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებში. ერთი შეხედვით სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. ერთი კი იყო — შრომას ვერ უდებდა გულს, ყოველთვის სარფიან საქმეს ეძებდა. ომის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე „აჭარკოოპკავშირის“ ბუღალტერი იური ჭაფოძე პასუხისგებაში მისცეს...

დაიწყო დიდი სამამულო ომი და თავის ორ ძმასთან ერთად მასაც ჩააცვეს ჯარისკაცის ფარაჯა.

როცა საქმე სამშობლოს ყოფნა-არყოფნას ეხება, როდესაც მტერი მოსპობით ემუქრება შენს მიწა-წყალს, შენს სახლ-კარს, სადაც მშობლები, მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები დატოვე, თითქოს ორი აზრი არ უნდა არსებობდეს — მახვილით მოსული მახვილითვე უნდა აკაფო.

მაგრამ, იური ასე არ ფიქრობდა. იგი ეძებდა შესაფერ დროს, რათა თავისი მხეცური ბუნება სრულად გამოეშუღავნებინა. ასეთი დროც დადგა. ომის პირველსავე დღეებში იგი მტრის ბანაკში აღმოჩნდა, სამშობლოს დამცველის ფარაჯა გაიხადა და იუდას ჯურჯში გაეხვია.

ძნელია უველა იმ დანაშაულის ჩამოთვლა, რომელიც მოღალატემ თავისი ხალხის წინაშე ჩაიდინა. როდესაც იური ჭაფოძის დანაშაულებრივ მოქმედებას ეცნობი, რაღაც საშინელი გრძნობა გეპყრობს, ვერ იჯერებ, რომ მისი ჩამდენი შეიძლება ყოფილიყო ნორმალური ჭკუის კაცი, კაცი, რომელმაც თითქმის სამ ათეულ წელიწადს ქართულ მიწაზე იცხოვრა, ჩვენი წუალი სვა და ჩვენი ღვინით, ვინ იცის, რამდენჯერ დალია სამშობლოს, ოჯახის, ბავშვების სადღეგრძელო. იქნებ ვინმე შემოგვედავოს და გვითხრას, რა საჭიროა ასე მკაცრად გაკიცხო ადამიანი, რომლის დანაშაულს მრავალი წელიწადი გვაშორებსო. არა! დანაშაულიც არის და დანაშაულიც, მის ხელებს არასოდეს შეაშრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, ასეთი კაცი, ათასჯერ წელიწადშიც რომ გაიაროს, მხოლოდ ზიზღსა და რისხვას იწვევს.

...1943 წლის 10 ივლისი. ტერნოპოლის ოლქის სამხედრო ტყვეთა ერთ-ერთი ბანაკი, სადაც ორი ათასი საბჭოთა მოქალაქე იტანჯებოდა, არნახული მხეცობის ახპარეზად იქცა.

გათენებისას ბანაკს ფაშისტები მიადგნენ. უფროსის ბრძანებისთანავე განწირულები ცემა-ტყეპით მორეკეს მოედანზე. შემდეგ კი შორიახლო ამოთხრილი ორმოსაკენ მიმავალ გზას გაუყენეს, გზას რომელიც ავტომატის რიგით მთავრდებოდა. მათ შორის, ვინც მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ტყვიით უმასპინძლდებოდა, იური ჭაფოძეც იყო.

ამავე სოფელში ფაშისტებმა კიდევ ერთი მხეცობა ჩაიდინეს. თითქოს დაღვრილი სისხლი ეცოტავათ, ახლა მეორე ბანაკს მიადგნენ და აქაც განუკითხავად გაულიტეს უველა. ბოლოს, გული რომ ვერაფრით იჯერეს, 150 ტყვე ერთ-ერთ ბარაკში შერეკეს, კარები გადაურაზეს და შენობას ცეცხლი წაუკიდეს.

საშინელი იყო განწირულთა კვნესა-გოდება. ზოგმა ფანჯრიდან გადმოხტომა სცადა, მაგრამ ჭალათის ტყვია მიზანს უოველთვის აღწევდა. იური ჭაფოძემაც ბევრს დაუბნელა მზე, აკი დააწინაურეს კიდეც — რიგითი ჯარისკაციდან ათმეთაური გახდა.

იური ჭაფოძემ კარგად იცოდა, სად უნდა გამოეჩინა „ვაუკაცობა“ და სიმკაცრე. უიარაღო ადამიანებს ადვილად უსწორდებოდა, მაგრამ როდესაც პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალეს, პირველსავე შეტაკების დროს ისე დაფრთხა, უფროსებს ხვეწნა დაუწყო, ისევ ჩემ საქმეზე დამაბრუნეთ, ტყვეთა ბანაკში წესრიგის დამყარება უფრო მეპერხებაო. და აი 1943 წლის ოქტომბერში იგი კვლავ ტყვედ ჩავარდნილი 3 ათასი საბჭოთა მოქალაქის უმოწყალოდ გაულეტის აქტიური მონაწილეა. თუ ადრე სასიკვდილოდ განწირულთ ჭაფოძე კარაბინიდან ესროდა, ამჯერად იგი იმ ავტომატით ცხრილავდა უდანაშაულო ადამიანებს. კარგი სამსახურისათვის ფაშისტებმა რომ აჩუქეს. ჭაფოძის ავტომატმა ბევრი პოლონელი პატრიოტიც მოცელა, 1944 წლის შემოდგომაზე სამშობლოს განთავისუფლებისათვის რომ აღდგნენ.

განადგურდა მტერი და ჭაფოძე, რომელიც მოკავშირეებს ჩაუვარდათ ტყვედ, უარს ამბობს სამშობლოში დაბრუნებაზე. ან რა პირით უნდა დაბრუნებულიყო. იგი ინგლისში სახლდება, იქვე ქორწინდება და მუშაობას იწყებს ავეჯის შემკეთებლად. რა თქმა უნდა. ისეთი წარსულის მქონე ადამიანი, როგორიც ეს მოღალატეა. უცხოეთის დაზვერვას მხედველობიდან არ გამორჩენია. 1947 წელს ავეჯის შემკეთებელს იუდას შესაფერ სამუშაოს სთავაზობენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქვეყნისა და ხალხის მოღალატე დათანხმდა სპეციალური დავალებით საჯაშუშოდ და საავაზაკოდ მალულად ჩამოსულიყო საქართველოში, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ნერვებმა უმტყუნეს და საბჭოთა საზღვრის გადმოლახვა ვერ გაბედა.

შემდეგ, როგორც ჭაფოძეს თავისი ნაცნობებისათვის არა ერთხელ უთქვამს, დავალებული ჰქონდა ქართველი ემიგრანტების „დამუშავება“. შეფების მითითებით მათ „შესაფერისი მომენტისათვის“ ამზადებდა. მაგრამ, ახლა ცოტაღა თუა ისეთი, ჭაფოძის ანკეტას რომ წამოეგოს. ემიგრანტების უმეტესობამ ზურგი შეაქცია ამ ქვეწარმავალს.

— ჩემი დღეები დათვლილია, — სწერდა ჭაფოძე თბილისში შვილებს, — ჭლექით დავადებული პირიდან სისხლს ვანთხევ. მძიმე სამუშაომ და მოუსვენარმა ცხოვრებამ გამტეხა...

რა არის ეს? ჭალათის აღსარება, თუ ცდა, შეაბრალოს თავი შვილებს, რომლებსაც სამშობლო ერთი წუთითაც არ აკლებდა ზრუნვასა და დახმარებას, რომლებიც უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მშვიდობიან შრომას ეწევიან და თუ უღირსი მამა არა, მათზე ბედნიერი ამ ქვეყნად არავინ იქნებოდა.

ჩაპელ ჯორჯს! როდესაც ამ წერილს წაიკითხავთ. შეიძლება თქვათ — აქ ჩემი დანაშაულის მხოლოდ მესამედია აღწერილიო. ალბათ. ირონიულადაც გაიღიმებთ მანდაური ანდაზით გულდამშვიდებული — ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეაო, ხოლო თქვენ, რაც გინდათ, ის ილაპარაკეთო.

ნურც რუსთაველის ნათქვამს დაივიწყებთ — „რაცა საქმე უსამართლო, ღმერთმან ვისმცა შეარჩინა?“ სამშობლოს მოღალატე ხალხის რისხვას სამარეშიც ვერ დაემალება. უდანაშაულო ადამიანთა სისხლი განაჩენს მოელის!

რეზო მაჭავარიანი

ყინულზე დანთებული ცეცხლი

საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებულ საცეკვაო სპორტულ სკოლაზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ. მართალია, სკოლა არსებობის მხოლოდ რამდენსამე წელიწადს ითვლის, მაგრამ მის აღსაზრდელებს უკვე მთელ კავშირში იცნობენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა, რომელსაც ბევრი სიახლე შეაქვს სწავლების მეთოდიკაში. უფროსი მწერთნელი, ღვინგრადელი ვალენტინა რეტივიხი სიამოვნებით დათანხმდა „თბილისელი“ გამხდარიყო და ენერგიულად შეუდგა ნორჩების წვრთნას, ადგილობრივი კადრებისათვის მდიდარი გამოცდილების გაზიარებას. ახლა სკოლას, რომელსაც საქმის დიდი ენთუზიასტი ნოდარ ნათაძე ხელმძღვანელობს, შეუძლია იამაყოს საკუთარი ეროვნული ახალგაზრდა, პედაგოგიური კოლექტივით, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ თენგიზ ხანიაშვილი, ლეილა დოლიძე, იური აუგელაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, ირაკლი ჯაფარიძე.

მაგრამ რამდენიმე წლით უკან დავიხიოთ.

...ლენინგრადი. მოციგურავეთა პირადი პირველობა. მოასპარეზეთა ტურნირი ღია ცის ქვეშ, 30 გრადუს ყინვაში. ეს ძალზე უჩვეულოა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთათვის, რომლებიც მხოლოდ მეორედ ცდიან ძალებს ასეთ სერიოზულ შეკრებაზე. მაგრამ... მშვიური ქალაქის წარგზავნილებმა ისეთი სამხრეთული ცეცხლი დაანთეს ყინულზე, რომ მათ ყოველ ვარჯიშს აღფრთოვანებული ხვდებიან არა მარტო მაყურებლები, არამედ მუდამ თავშეკავებული მსაჯებიც კი. ნიჭიერმა მოციგურავემ ირაკლი ჯაფარიძემ ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა და ჩვენი ქვეყნის პრიზიორი გახდა პირველთანრიგოსანთა შორის.

ქართველი ჭაბუკის გამარჯვება სენსაცია იყო ამ ხუთიოდე წლის წინათ. მაშინ ბევრს ეპარებოდა ეჭვი, რამდენად სწორი იყო თბილისში საციგურაო სკოლის გახსნა. დღეს აღარავის უკვირს ჩვენი ბავშვების წარმატება. თბილისურმა სკოლამ, რომელიც ერთადერთია საბჭოთა კავშირში, ისე გაითქვა სახელი, რომ ახლა სერიოზულად დაისვა საკითხი სხვა ქალაქებშიც შეიქმნას ამ ტიპის სკოლები. „გვშურს საქართველოს გუნდისა, — აღნიშნავდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ლევ კოჩეპსოვი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ანკეტაში, — რადგან მათთან ყველაფერი მაღალ დონეზე, რაციონალურად არის ორგანიზებული. შემთხვევითი როდია, რომ თბილისელი ფიგურისტები ასეთ წარმატებებს აღწევენ“.

როგორი იყო შარშანდელი „მოსავალი“?

მარტში მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაზე როსტოვში ოსტატობის კანდიდატთა შორის პირველი ადგილი გია იაშვილმა მოიპოვა, მეორე — ნოდარ სარაჯიშვილმა. წყვილთა სრიალში საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს მარინე მახარაშვილმა და გია იაშვილმა, მარინე ჯაიანმა და თემურ ლომაძემ.

ერთი თვის შემდეგ უფაში გათამაშდა საბჭოთა კავშირის თასი სპორტის ოსტატებსა და ოსტატობის კანდიდატთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა თავის ქვეჯგუფში პირველობა არავის დაუთმო. სკოლის 8 აღსაზრდელმა შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმა.

სწორედ აქ, უფაში მიაღწია სენსაციურ წარმატებას პატარა ქეთინო გუჯაბიძემ. შეჯიბრებაზე არც კი უშვებდნენ — პატარაა, ათი წლისა არისო მხოლოდ. ბოლოს ნება მისცეს და... პირველი ადგილი მოიპოვა. „ალბათ, ყველას, ვინც კი ესწრებოდა სპორტის ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო პაექრობას ნებისმიერი პროგრამით, დიდხანს ემახსოვრება წითელკაბიანი პატარა გოგონა ქეთევან გუჯაბიძე. მაღალი ტემპი, რაღაც განუმეორებელი ბავშვური აღტყინება, ურთულეს ელემენტთა სიუხვე, ორმაგი ნახტომები — აი რით გვხიბლავდა მისი გამოსვლა“, — აღტაცებით წერდნენ გაზეთები მასზე.

10 წლის ოსტატობის კანდიდატი ერთადერთი შემთხვევაა საციგურაო სპორტის ისტორიაში.

აპრილშივე იზეიმეს ახალი გამარჯვება ქართველმა სპორტსმენებმა — გია იაშვილმა და ირაკლი ჯაფარიძემ კიევში „ავანგარდის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს.

არც წლევანდელი სეზონი გამოდგა ნაკლებ ბარაქიანი. საბჭოთა კავშირის 16 ქალაქში გამართულ სხვადასხვა ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ნორჩები და ყველგან გამოიჩინეს თავი როგორც ნიჭიერმა, ტემპერამენტიანმა, ტექნიკურად ძლიერმა სპორტსმენებმა. საციგურაო სპორტის მესვეურებმა და მოყვარულებმა არაერთხელ აღნიშნეს, ქართველების არტისტულ, მუსიკალურ ბუნებას საოცრად მოუხდა საციგურაო სპორტი.

საამაყოა, რომ სკოლის 5 აღსაზრდელი — ნოდარ სარაჯიშვილი, გია იაშვილი, ქეთინო გუჯაბიძე, მარინე კოშორაძე და ლუიზა იზმაილოვა შეყვანილი არიან ოლიმპიური ნაკრების სათადარიგო შემადგენლობაში.


ახლა საციგურაო სკოლაში დიდი გამოცოცხლებაა. 17 მაისს დაიწყო სკოლის პირველი სპარტაკიადა, რომელიც 24 ივნისამდე გასტანს. ნორჩი მოციგურავეები ერთმანეთს ეჯიბრებიან ყველა იმ სახეობაში, რომელსაც სკოლაში ეუფლებიან — ფიგურულ სრიალში, აკრობატიკაში, ქორეოგრაფიასა და მძლეოსნობაში. მალე გამოვლინდებიან პირველი ჩემპიონები — ქართული საციგურაო სკოლის პირველი მერცხლები.

ლია ჩიქოვანი





სურათებზე: საციგურაო სკოლის აღსაზრდელები. ზევიდან — ქეთინო გუჯაბიძე; ქეთევან მაჭავარიანი და დათო თვალაძე; მარინე ჯაიანი და თემურ ლომაძე.



სპორტული ქრონიკა

როგორც არასდროს

როგორც ცნობილია, დევისის თასის გათამაშების პირველ წრეში საბჭოთა ჩოგბურთელებმა დაამარცხეს უნგრეთის ძლიერი გუნდი. ამ გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა შეიტანა.

მან ჯერ ერთეულთა ორივე შეხვედრა მოიგო, შემდეგ კი ლახაჩოვთან ერთად წყვილთა მატჩშიც გაიმარჯვა. დევისის თასის გათამაშებაში საბოლოო გამარჯვებისათვის სწორედ 3 ქულაა საჭირო.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელის ანდრეევის აზრით, მეტრეველი ახლა ისე თამაშობს, როგორც არასდროს.

„მეტალურგი“ თუ „ლოკომოტივი“?

გრძელდება საქართველოს 1970 წლის პირველობა ფეხბურთში. სამტრედიის „ლოკომოტივს“ 15 თამაშიდან მოპოვებული აქვს 20 ქულა, ზესტაფონის „მეტალურგმა“ კი ამდენივე ქულა 13 თამაშიდან მოაგროვა. წალენჯიხის „შუქურა“ და თბილისის „ისანი“ ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან.

წარმატებით გამოდიან აგრეთვე წულუკიძის „ფეიქარი“ და ცხაკაიას „ეგრისი“.

შავი ზღვის რეგატა

ფოთში გაიმართა შავი ზღვის რესპუბლიკური რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ტურნირში საქართველოს ნიჩბოსანთა გარდა მონაწილეობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და „შრომითი რეზერვების“, ვილნიუსის „ჟალგირისის“, თურქმენეთის „ზასმეტის“ გუნდები.

სტარტზე სულ 110 სპორტსმენი გამოვიდა. გუნდური გამარჯვება მოიპოვა თბილისის „ქარიშხალმა“.

მიზნისკენ მიქრის ისარი

გაიმართა საქართველოს პირველობა მშვილდოსნობაში. როგორც მისალოდნელი იყო, უმაღლესი სახელი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

ვაჟთა შორის 90 მეტრზე 134 ქულით გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა ბორის ქორიძემ, ქალებში ბადალი არ ჰყავდა სესილია რიჟამაძეს.

გუნდურ ასპარეზობაში მეორე ადგილზეა „განთიადის“ გუნდი, მესამეზე — „დინამო“.

ნორჩი ფალავნები

ბათუმში მიმდინარეობდა იუნიორთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. პირველი ადგილი თბილისის ძლიერმა კოლექტივმა დაიჭირა, მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის ნაკრები, მესამე ადგილი კი აჭარელ ფალავნებს ხვდათ.

ჩემპიონატმა ბევრი პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა.

VI საერთაშორისო

20 მაისს თბილისში გაიხსნა ქალთა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. აქამდე სულ მოწყობილია 5 ასეთი შეჯიბრება. სამჯერ პირველი პრიზი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელიც ამჯერად ასპარეზობაში ვერ მონაწილეობს.

წლევანდელი ტურნირის მეორე ნახევარი გორში გაგრძელდება.

ჩვენი სტუმრები არიან უცხოეთის გამოჩენილი ოსტატები — ნიკოლაუ, გიორგიევა, კონარკოვსკა, შტადლერი და სხვები. დიდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო ოსტატების რუბაცოვასა და ანდრეევას თამაში. მასპინძელთაგან ტურნირში მონაწილეობენ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია, ოსტატი ციალა კობაიძე, საქართველოს ჩემპიონი ციალა კახაბრიშვილი და სხვები.



თბილისის სპორტის სასახლის წინ ჰიმართა „ქართველი ოლიმპიელის“ ქანდაკება, რომელიც გამოძერწა საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ჯუნა მიქატაძემ. არქიტექტორია რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ლადო მესხიშვილი.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

დიდი ანგარიშით

20 მაისს, სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში, თბილისის „დინამო“ ტაშკენტის „ფახთაქორს“ შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ დინამოელთა რიგებში შვიდი წამყვანი ფეხბურთელი არ გამოდიოდა (ძოძუაშვილი, ხურცილავა, ასათიანი, ნოდია და მეტრეველი მექსიკაში არიან, ხოლო ურუშაძესა და კუტივაძეს ტრავმა აქვთ მიღებული), ახალგაზრდებმა მეტად ლამაზი და შემტევი ფეხბურთი გვიჩვენეს.

მატჩის ბედი ფაქტიურად თამაშის პირველ ნახევარში გადაწყდა. უკვე მე-13 წუთზე ანგარიში იყო 3:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

ჯერ იყო და, მე-4 წუთზე თავური დარტყმით გავაშელმა მეტად ლამაზი ბურთი გაიტანა, ერთი წუთის შემდეგ ილიადმა მეორედ აიღო მეტოქის კარი, ხოლო მეცამეტე წუთზე ბურჯანაძემ ანგარიში სამამდე გაზარდა. თამაშის მეორე ნახევარში ილიადის ძლიერი დარტყმა კიდევ ერთხელ მისწვდა მიზანს. მატჩის საბოლოო ანგარიშია 4:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

ჩვენი ერთადერთი გაზეთი „ლანჩხუთის ხმა“ დაარსდა 1910 წელს. ორშაბათობით ხუთშაბათამდე, ივნისიდან სექტემბრამდე — კვირაში ორჯერ. ფასი ერთი წლით — 3 მან., ექვსი თვით — 1 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. ხელმოწერა მიიღება ყველა ფოსტაში. ადრესი: ლანჩხუთი, ქუჩა ნინოშვილისა, № 11.

ჩვენი ახალი ტიპოგრაფია

ბატონ ალექსანდრე ქიქოძის ინიციატივით ქალაქში დაარსდა ახალი ტიპოგრაფია. ამ საქმეში ბატონ ალექსანდრეს ეხმარებიან ბატონები: ნიკოლოზ ბერიძე, ივანე ჯაფარიძე, ვასილ ნაკაშიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე და სხვანი. ტიპოგრაფია აღჭურვილია ახალი, თანამედროვე მოწყობილობით. ამ ტიპოგრაფიაში ბეჭდვა დაიწყო ჩვენმა გაზეთმა. ამიტომ ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება, რომ ჩვენი გაზეთის ბეჭდვა ამ ტიპოგრაფიაში ყოველთვის ისე მოწესრიგდება, რომ ჩვენი მკითხველნი კმაყოფილნი დარჩნენ.

ახალი ბანკირი

ქალაქში ჩამოვიდა ახალი ბანკირი ბატონი ალექსანდრე ნაკაშიძე. ბატონ ალექსანდრეს ეხმარებიან ბატონები: ნიკოლოზ ბერიძე, ივანე ჯაფარიძე, ვასილ ნაკაშიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე და სხვანი. ბანკირის ოფისი მოთავსებულია ბატონ ალექსანდრე ქიქოძის სახლში. ბანკირის ოფისი ყოველ დღე მუშაობს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ბანკირის ოფისში მიიღება ფულები ანაბრად და გაიცემა ვალად. ანაბრებზე ბანკირის ოფისი იხდის 5 პროცენტს წელიწადში. ვალზე ბანკირის ოფისი იღებს 8 პროცენტს წელიწადში. ბანკირის ოფისი ასრულებს ყველა საბანკო საქმეებს.

ახალი ექიმი

ქალაქში ჩამოვიდა ახალი ექიმი ბატონი ალექსანდრე ჯაფარიძე. ბატონ ალექსანდრეს ეხმარებიან ბატონები: ნიკოლოზ ბერიძე, ივანე ჯაფარიძე, ვასილ ნაკაშიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე და სხვანი. ექიმის ოფისი მოთავსებულია ბატონ ალექსანდრე ქიქოძის სახლში. ექიმის ოფისი ყოველ დღე მუშაობს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ექიმის ოფისში მიიღება ავადმყოფები და გაიცემა წამლები. ექიმის ოფისი ასრულებს ყველა საექიმო საქმეებს.

ახალი ფოსტა

ქალაქში გაიხსნა ახალი ფოსტა. ფოსტის უფროსად დაინიშნა ბატონი ალექსანდრე ნაკაშიძე. ბატონ ალექსანდრეს ეხმარებიან ბატონები: ნიკოლოზ ბერიძე, ივანე ჯაფარიძე, ვასილ ნაკაშიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე და სხვანი. ფოსტის ოფისი მოთავსებულია ბატონ ალექსანდრე ქიქოძის სახლში. ფოსტის ოფისი ყოველ დღე მუშაობს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ფოსტის ოფისში მიიღება ფოსტები და გაიცემა ფოსტები. ფოსტის ოფისი ასრულებს ყველა საფოსტო საქმეებს.

ახალი ტელეფონი

ქალაქში გაიხსნა ახალი ტელეფონი. ტელეფონის უფროსად დაინიშნა ბატონი ალექსანდრე ნაკაშიძე. ბატონ ალექსანდრეს ეხმარებიან ბატონები: ნიკოლოზ ბერიძე, ივანე ჯაფარიძე, ვასილ ნაკაშიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე და სხვანი. ტელეფონის ოფისი მოთავსებულია ბატონ ალექსანდრე ქიქოძის სახლში. ტელეფონის ოფისი ყოველ დღე მუშაობს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ტელეფონის ოფისში მიიღება ტელეფონები და გაიცემა ტელეფონები. ტელეფონის ოფისი ასრულებს ყველა სატელეფონო საქმეებს.

ნაბეჭდია ლანჩხუთის ტიპოგრაფიაში. ტირაჟი 1000 ეგზემპლარი. შეკვეთა № 167. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10 ივნისს 1910 წელს. ფასი 10.000 მანეთი. ტირაჟის ნაწილი ფოსტით გაიგზავნა. ეს ნომერი შედგება 4 გვერდისაგან. ამ ნომერში ბეჭდილია ქალაქის ახალი ამბები.

ჩვენი გაზეთი ყველას შეუძლია გამოიწეროს. ხელმოწერის ფასი ერთი წლით 3 მანეთი, ექვსი თვით 1 მანეთი 50 კაპიკი. ხელმოწერა მიიღება ყველა ფოსტაში. ადრესი: ლანჩხუთი, ქუჩა ნინოშვილისა, № 11.

ამერიკის ისტორია...

ამერიკის ისტორია დაიწყო 1492 წელს, როდესაც ამერიკა აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა. ამ დროს ამერიკა ეკუთვნოდა ინდიელებს. ინდიელები ცხოვრობდნენ ტომებად. ტომები ერთმანეთს ხშირად ებრძოდნენ. ინდიელები ცხოვრობდნენ ველურად. ისინი არ იცნობდნენ ქრისტიანობას. ისინი ეთაყვანებოდნენ ბუნებას. ისინი ეთაყვანებოდნენ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ხეებს, მდინარეებს, ტბებს, ცხოველებს, ფრინველებს, ქვებს, ხეებს და სხვა.

ინდიელები ცხოვრობდნენ ქოხებში. ქოხები აშენებული იყო ხისაგან. ქოხებს ჰქონდათ ერთი ოთახი. ქოხებში არ იყო ფანჯრები. ქოხებში იყო ერთი კარი. ქოხებში იყო ბუხარი. ბუხრის ქვეშ ინდიელები ანთებდნენ ცეცხლს. ცეცხლზე ინდიელები ხარშავდნენ საჭმელს. ინდიელები ჭამდნენ ხორცს, თევზს, ბოსტნეულს, ხილს, ბოსტნეულს, ხილს, ბოსტნეულს, ხილ